

# შეკრიკი

ზაფთის თაჳის მიჯნათ ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების დაცვას.

ქუთაისი  
შაბათი, 15 ივლისი.  
1906  
წელაწადა ზარგულა.  
ცალკე № 3 კაპ.

ქუთაისიში ხალხი თხოულობს, დიდ-მცირის დაყენებას.—მუშაში თათრებსა და ჯარებს შორის შეტაკება.—კრონშტადში მუშებმა დემონსტრაცია მოახდინეს.—ხმები დეპუტატების დატყვევების შესახებ არ გამართლდა.—ოდოევის მაზრაში აკრარული მოძრაობა მაჳულობს.

№ 6. ყოველ-დღიური გაზეთი № 6.

კვირას 16 ივლისს დილის 11 საათზე ს. წესში

## აპაპი ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია ჰ. ნაშვიდი.

1906 წლის 9 ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საბოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### „შეკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ. ვანცხადების ფასი: პირველ გვერზე პეტიტით 15 კ. მეოთხეზე—10 კ. რედაქცია მოთავსებულია ბალახვის ქუჩაზე, ალ. მხეიძის სახლებში № 5. ფოსტის ადრესი: Кутаисъ редакция „Шикрики“

მიტროფანე ლაღიძემ, გადასწავილა თავის ცნობილ ქანსასს უფრო მეტი და ფართო სამრეწველო ხასიათი მისცეს, ამ მიზნით ავაზასებს

### ამხანაგობას

ხელახლად შემხადებული მანუალის-ხაღულის წელის, ეიხულის ქანსებისა და ელექტრონის სადგურისას ქ. ქუთაისში.

სახელ-წოდებით „მიტროფანე ლაღიძის“ და ამხ.

მიზანი ამ შემოხსენებული ამხანაგობისა არის:

1. შეიძინოს მიტროფანე ლაღიძისაგან მისი საკუთარი მინერალოგი-ხილიულის წყლის და ყინულის ქარხნები და ელექტრონის სადგური სრული ინვენტარით, მასალითა და საქონლით, რაიცა საქიროა შემოხსენებული ქარხნების და ელექტრონის სადგურისათვის; შეიძინოს აგრეთვე უფლება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საიჯარო მიწაზე ლაღიძის მიერ აგებული ქვიტორის შენობებზე მოიჯარადრის სრული უფლებებით და ფართო ექსპლუატაცია უყოს შემოხსენებულ სახელმწიფო დაწესებულებას.

ოპერაციების გასაფართოებლად და წარმოების გასაადვილებლად ამხანაგობა საქიროების მიხედვით, ხნის განყოფილებებს, როგორც ქუთაისში, ისე სხვა ქალაქებსა და ადგილებშიც. ამხანაგობის კაპიტალი (თანხა) ჯერჯერობით განისაზღვრება 70,000 მანეთით, რომელიც დაყოფილია 700 წილათ (პაით) თითოეული პაი ღირს 100 მანეთი.

ამხანაგობის დამაარსებელი თავის პირველ-კრებაზე, რომელიც შესდგა 25 ივნისს 1906 წ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში, ბ. გ. ა. ჭადაძის თავმჯდომარეობით და ნოტარიუსი ბ. ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით განიხილეს ამხანაგობის ხელ-შეკრულების პირობა (წესდება), რომელიც შესდგება სამოცი მუხლისაგან შეასწორეს ზოგიერთი მუხლები და შემდეგ ერთხმად მოწონებულ და მიღებულ იქნა იქ დამსწრე ქუთაისის ვაჭრების კრებისაგან. კრებამ აირჩია ამხანაგობის დამაარსებელი კომისია, შემდეგ პირებისაგან: გ. ი. ჭადაძე, ფანა ბეჟანის-ძე, გ. ბ. ნია, ფილიპე სამონის ძე, ფილიპე, რაჟდენ ვარაძის-ძე და თეშაძე, ტ. გველესიანი, ფილიპე ნაკალაშის-ძე, ქადაძე, სამონ ავაგაძის-ძე, თევდორაძე, ზეტრე იასკების-ძე, გ. კეკელიძე, ნიკაფორე მასეს-ძე, ჯანუღიძე და მიტროფანე ლაღიძე.

შემოხსენებული ამხანაგობის დამაარსებელი წევრნი სთხოვეს ყველა იმ პირთ, ვისაც რაიმე მონაწილეობის მიღება სურს ხსენებულ ამხანაგობაში კეთილ ინებონ და მობრძანდენ კვირას 16 ივლისს, დილის 10 საათზე სწორეთ 1906 წელს ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში ამხანაგობის გამგეობის წევრთა ასარჩევად და საქმეების დასაბოლოებლად.

ვინც მოისურვებს ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას სრულ ამხანაგათ ანუ მხოლოდ პაის შექენით, ყოველ-გვარ ცნობებს და ხელ-შეკრულობით პირს მიიღებენ ამხანაგობის დამაარსებელ კომისიის ერთ-ერთი წევრისაგან, ამხანაგობის დამაარსებელი და პაის შეადგენი პასუხის მგებელი არიან მხოლოდ და მარტო იმ ფულით, რაც შეტანილი ექმნებათ წილის ფასად.

### სამუშაოს მაძიებელთა საშუალოდ

ქიათურის უსაქმოდ დარჩენილ მუშათა საბჭო ამით აცხადებს, რომ ქიათურაში მრავლათ მოიყარა თავი უსაქმოდ მუშებმა და სამუშაო კი არ იშოვებია. ქიათურის უს. მ. საბჭო.

### ჭიათურაში

პარკულ სექტემბრის რეცხიდან, მთავრობის ნებართვით, ასსენება პარკულ დაწვებითი საქალბო სკოლას მ. ა. ჩხეიძის ათხვენებს მსურველთაგან 25 აგვისტოდან მიიღებს ქიათურაში სკოლის გამგე მ. ა. ჩხეიძე.

ქუთაისი, 15 ივლისი.

დუმაში არჩევნების დროს ბოიკოტის ტები გაიძახოდენ: ხალხი დუმას უნდობლათ უყურებს, მას არ სურს მონაწილეობის მიღება არჩევნებში და როგორც ბულიგინის დუმას დაემართა ბოიკოტის მეოხებით, ის დღე მოელის ვიტეს დუმასაც. ჩვენი შეგნებული ამხანაგების უმრავლესობამ დიდ სამრეწველო ცენტრებში ბოიკოტის ტაქტიკა მიიღო; უმცირესობა იძულებული იყო დაემორჩილებოდა ასეთ დადგენილებას და გულხელ დაკრეფილი ეყურებინა კადეტების აგიტაციისათვის არჩევნების დროს და მათ ბრწყინვალე გამარჯვებისათვის. გლეხების შესახებ ბოიკოტის ტებს მოლოდინი არ გაუმართლდათ; იმათ მიიღეს მონაწილეობა დეპუტატების არჩევნებში იმ იმედით, რომ მათი წარმოდგენით, დუმა შეძლებს ყველა მათ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნილებათა დააკმაყოფილებს, არჩევნები დამთავრდა. დეპუტატები პეტერბურგში გაამგზავრებლათ ემზადებიან. ხალხი თავის იმორჩეულ დეპუტატს „ნაკაზს“ აძლევს, მოითხოვს მისგან, რომ მიწა და თავისუფლება უსათუოთ მოუპოვოს, ისე შინ ცოცხალი ნუ დაბრუნდება და შემდეგ აცილებს მას სადგურამდის დიდის ამბით: წითელი ბაირაღებით და რევოლიუციონური სიმღერით. არავინ იფიქროს, რომ ეს მოვლენა მარტო ერთს და ორ ადგილს იყო, ეს ხთებოდა თითქმის ყველგან. დაიწყო დუმის სხთომები 27 აპრილს. ხალხი მთელ თავის ყურადღებას დუმას აქცევს; მის გარშემო ტრიალებს ხალხის აზრი, მისგან გამოელის ის ხსნას და შევლას. რუსეთ-იპონიის ომსაც არ მიეპყრო იმის ყურადღება იმდენათ, როგორც დუმას. იმის გახსნის პირველ დღიდანვე დეპუტატებს განუწყვეტილად მიდის დეპეშები და წერილები. როდესაც მეფის მთავრობამ ბრძანება გამოცა ფოსტაში დუმის სახელზე დეპეშებს ნუ ლეზულობთო, გლეხებმა კაცების ეგრედ წოდებული „ხოდოკების“ გზაზე იწყეს პეტერბურგში თავის დეპუტატებთან თავიანთ საქიროებათა გადასაცემათ. ხალხის ასეთ უსაზღვრო ნდობას დუმისადმი ცუდი და კარგი მხარეებიც ჰქონდა. ცუდი იყო, რამდენათ ხალხი ყოველ კითხვის გადაწყვეტას, ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სავეებით დუმისგან გამოელოდა; ჩვენი ვალი იყო ამგვარ ილიუზიების წინააღმდეგ გეგმობოლა. კარგი იყო იმით, რომ ასეთ ნდობით შემჩერე ხალხი დუმას მხარს დაუჭერდა საქირო შემთხვევებში. გამოვიყენეთ ჩვენ ეს გარემოება?

შემავრთებელმა „სივდმა“ შესაფერისი რეზოლიუცია გამოიტანა დუმის შესახებ; ცენტრალურ კომიტეტს დაევალა სივდისგან გამომუშავებული ტაქტიკა ცხოვრებაში გაეტარებინა. ბოიკოტის ტები სივდის გადაწყვეტილებას თუმცა დაემორჩილენ, მაგრამ ისინი თავის ძველ ტაქტიკას, სივდისგან უარყოფილს არ ივიწყებენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ რამენაირათ ზიზლი დაბადონ პროლეტარიატში დუმი-სადმი, უკეთ რომ ვთქვათ დუმის უმრავლესობისადმი, ამ ნიადაგზე მთელი კამპანია გამართეს ცენტრალური კომიტეტისგან მიღებულ რეზოლიუციის წინააღმდეგ, შესახებ დუმის უმრავლესობისგან სამინისტროს შედგენისა.

რასაც ცენტრალური კომიტეტი და დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია აკეთებდა, იმას ბოიკოტის ტები არღვევდენ. იარაღათ პეტერბურგის კომიტეტი გაიხადეს. პროლეტარიატს დაუწყეს იმის რწმუნება, რომ დუმის უმრავლესობისგან შემდგარი სამინისტრო იიუროკრატისთან პირს შეკრავს, ხალხის თავგასულებს გაყიდის და თქვენ ყინულზე გაგაცურებთო, თქვენი საქმეა დამფუძნებელი კრების მოთხოვნა; დუმამ კი თავში უძლორება აღიაროს და დაიშალოსო. ამ ნიადაგზე აგიტაცია ფართო შეუგნებელ მასაში გადაიტანეს. ხშირათ საათის განმავლობაში მიტინგებზე ასეთი რთული და მძიმე კითხვები წყდება. რასაკვირველია ვინც მეტს პირდებოდა, იმის რეზოლიუციას მეტი გასავალი ჰქონდა, იყო ისეთი დროც, როცა იმ ზომამდის მიღება საქმე, რომ ბოიკოტის ტების წყალობით მუშები მზათ იყვენ ხმამაღლა დაეყვირათ „ძირს დუმაო“. კადეტებისადმი სიძულვილმა იქამდის გაიტაცა ბოიკოტის ტები, რომ უმთავრესი მტერი-მეფის მთავრობა და კამარლია, ფეოდალური წესწყობილების ერთგულნი ბურჳნი სრულიათ დაივიწყეს და ისევ გორემიკინის სამინისტრო ამჯობინეს კადეტებისგან შემდგარ სამინისტროს.

ასეთი ყოველად უმზავსო ახირება დუმის უმრავლესობისა მტერმა მარჯვეთ გამოიყენა თავის სასარგებლოთ. დუმამ, როგორც კი პირველი ნაბიჯი გადადგა ხალხისაკენ, მეფის მთავრობამ ის იმ წამსვე ერთი დაკვრით მოსპო. დუმის გარეკვა აშკარათ ნიშნავს იმ ხალხის აბუჩათ აგდებას და შეურაცყოფას, რომელმაც დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. ჩვენ მტკიცეთ დარწმუნებული ვართ, რომ შეურაცყოფილი ხალხი მოკლე დროში შურს იძიებს და მთავრობას არა ურთობოდას მარტო.

რას იტყვიან ახლა ბოიკოტისტები, რომლებმაც თავის უტაქტობით (თავრობას მეტი გამბედაობა მიცეს ხელში უტიფარი ნაბიჯის გადასადგმელათ. ამაში გამოიხატება მთავრობის უნებლიეთი დახმარება აწი მაინც ისწავლიან ქკუას ჩვენი ბოიკოტისტები?!

**აკაკი ბაქრაძის ხსოვნას.**

(ნეკრულიკი)

მარტის უკანასკნელ რიცხვებში რაჭის მთების ერთ გამოქვაბულში სული დალია საუკეთესო ამხ. აკაკი ბაქრაძემ. მთელი ორი თვე ის იძულებული იყო თავი შეეფარა თოვლით მოფენილ კლდეებში გამხეცვბულ რეაქციისაგან თავის დასაღწევად, რასაც მისი ორგანიზმის დასწრება და შემდეგ უღრავო სიკვდილიც მოყვა. აკაკი ბაქრაძე დაიბადა ს. წესში 1886 წ. მშობლებმა სწავლის მისაღებად მიაბარეს ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. აქ ის სწავლობდა ექვსი წელი და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი მასწავლებლის ყურადღება მიუქცევია თავისი არჩევულებრივი ნიჭით. 1904 წ. 3 თებერვალის მოწაფეთა დემონსტრაციის მოხდენაში მან მიიღო მხურვალე მონაწილეობა აკაკი, როგორც მეთაურთაგანი, სკოლის ადმინისტრაციამ სასწავლებლიდან გააძევა, მაგრამ ის ამავე ვერ დააფიქრა: მან უფრო მედგრად შეუდგა მუშაობას ჯერ მოწაფეთა წრეებში და მერმე ადგილობრივ მუშათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი თავის განვითარებით ამხანაგებზე მაღლა იდგა, მაგრამ მას არ

უყვარდა ამით თავის გამოჩენა და მხოლოდ საჭიროებაზე აჩნდა თავის გონების სიძლიერეს. აკაკი ყოველდღე ხმარობდა, რამე ნაირად განეგრძო სწავლა და ამ აზრით გატაცებული, ის გაემგზავრა შვეიცარიის 1904 წელ. სექტემბერში, იქ მან წარმოუდგენელი ენერგიით მიყო ხელი უცხო ენების შესწავლას და შემდეგ შევიდა უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. ახალგაზღვრ ერთგულებით მიყო ხელი მან მეცნიერების გაცნობას, მაგრამ არ დასცალდა აკაკის დიდხანს იქ მუშაობის გაგრძელება. 1905 წ. 9 იანვარს მოხდა მისი რუსეთის რევოლიუციამ ადღეოვა მთელი ქვეყნიერება; საზღვარ-გარეთელი სტუდენტობა გამოეშურა რუსეთში რევოლიუციონურ ცეცხლის ასანათებად. აკაკიც ბრძოლის სურვილით გატაცებული ჩამოვიდა საშობლოში აპრილის დასაწყისში; აი სწორედ ამ დღიდან ის ნამდვილი მებრძოლი ხდება და თვალ-საჩინო როლს თამაშობს თფილისელ სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციაში. რამოდენიმე თვის განმავლობაში ის დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობს ჯარში, რაც ისეთ ნაყოფს იღებდა, რომ მთელი ამხ. განცვიურებაში მოყავდა. ავევისტოს პირველ-რიცხვებში აკაკი, ერთ ღამეს სარდაფში ჯარისკაცებთან მუშაობის დროს დაიჭირეს, მთელი ორი თვე ნახევარი, მეტეხის ციხეში ჩასვეს და ოქტომბრის მანიფესტის მეოხებით, ის შეცდომით გამოუშვეს ციხიდან. ამის შემდეგ აკაკი, მთავრობის ძებნის თავიდან ასაცდენათ, წავიდა რაჭაში და იქ ის გახდა ნამდვილი ბელადი ადგი-

ლობრივ კომიტეტისა. მან დაივიწყა დედა და ნათესავები, ყურადღება არ მიაქცია შიმშილს და სიცივეს და ერთი აზრით გატაცებული, ყველაფრით შეეწირა განმათავისუფლებელ მოძრაობას... შეუპოვარი გაბედულობით, აღჭურვილი ის ყველაფერს თვით უძღოდა და აკეთებდა; ის გახდა თავის ამხანაგთა შორის მაგალითის მაჩვენებელი. მთელი არსება აკაკის იყო შინაარსი წარმოუდგენელი სიბატონის და სულ-გრძელობისა. სულით და გულით თავდადებული დიად საქმისათვის, მან თავისი მოკლე გზა განვლო ნამდვილი რევოლიუციონური ნაბიჯით. ხალხის ბედნიერება აჯობინა ვიწრო ოჯახურ ბედნიერებას და კიდევაც ღირსეულად შესწირა თავი სამშობლოს მაშინ, როდესაც ყველა ჩვენგანი შიშის ზარს აეტანა, გამხეცვბულ რეაქციის მეოხებით, — აკაკი გაბედულად განაგებდა თავი საქმეს. მას თავდასწრე გადაწყვიტა: სიკვდილი ან გამარჯვება. ძირითადი მეგობარო, შენ არ დაგცალდა ხალხის გამარჯვებით ბედნიერების მიღწევა. შენ არც კი დაგცალდა ოდნავთაც თავისუფლების ჭაერის ამოსუნთქვა, მაგრამ სამაგიეროდ შენ გახდი უკვდავი შენ ამხანაგებსა და მრავალტანჯულ-ხალხის გულში. შენი რევოლიუციონური სისხეტაკე და გამბედაობა ყველა ჩვენგანს თვალ-წინ გვიდგია, შენი გულ-ახლილობა და თავდადება ყველასათვის მაგალითია. ჩვენ შენი უღირსნი მეგობრები ფიცს ვდებთ შენი პატიოსანი გვამის წინაშე, რომ არ უღალატებთ იმ იდეას, რომელსაც შენ თავი შესწირე და გავყვე-

ბით იმ გზას, რომელზედაც შენ მედგრად გაიარე. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო ამხანაგო ნუკა.

ი. ცინცაძე.

**ახალი ამბები.**

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: თბილისის ქუჩიდან ვაგზის შესახვევში, სადაც საპიორის ყაზახთა პოლკის ყაზაოძაა, გზა გადაღობეს „ზასუავით“ და ხალხს იქ სიარული აუკრძალეს. ამის გამო დიდ გაქრვებაში ჩავარდნენ მახლობელი მცხოვრებნი (30 კომლაქდეა). ყაზარმისკენ აოავის არ უშვებენ. არის მეორე გზა ბალახენის ქუჩიდან შესახვევი, მაგრამ ეს გზა ყოველად უვარგისია და ხადეც დანგრეულია, თუმცა იმ უბნის მცხოვრებნიც სხვა ქალაქის უბნებში მცხოვრებთან ერთათ იხდიან ქალაქის ყველა გადასახადებს, მაგრამ მათთვის არც გზა, არც განათება და არც დამცველი. ნუ თუ იმ უბნის მცხოვრებნი იმისთვის იხარჯებიან, რომ მათ მიერ შეტანილი წვლილი სხვა უბნებს მოხმარდეს? დროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ქალაქის მართველობამ.

როგორც „ჩერ. ვეს.“ გადმოგვცემა, პათუმში ქალაქის თვითმართველობას შეუწყნარებია უმუშევართა საბჭოს თხოვნა — უმუშევართათვის უფასო სასადილოს გაფართოების შესახებ. სასადილოში ეხლა ას კაცს აძლევენ უფასოთ სადილს; აქამდე-კი მხოლოდ 50 უმუშევარს ეძლეოდა ყოველ დღე უფადა.

**ფელეტონი**

**მეფის მანიფესტი.**

8 ივლისის მანიფესტმა ურუანტელსავე დაუარა ხალხს ტანში და თვალეტი გამოუცნობელ ახლო მომავლისაკენ მიპყრობია ყველას, რომელშიაც ერთიც და მეორეც ცდილობს გამოიცილოს პროცესი იმ სახით და თვისებით, როგორათაც უნდა შესრულდეს. ჯერ იქ საიდუმლოებაა და ხალხისაგან თხოულობს ფარდის ახდას.


სახელმწიფო სათათბიროს წევრნი თავიდანვე შეხვდნენ ბიუროკრატის ტლანქ ხელს, რომელიც მათ იჭერდა, აკავებდა, ხალხის სასარგებლოთ არაფერს აკეთებებდა. მარა სათათბირომ მაინც გაარღვია დამაბრკოლებელი კლდე და ქვეყნის შესასმენათ საქმიანობას შეუდგა. მისი პოლიტიკური შეხვედრა მთავრობასთან იყო მეტათ თავდაპირილი, იმ გარემოებაში და დროში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. მაგრამ, რადგანაც ბიუროკრატიულ თვალს და გულს არ შეუძლია იხილოს სინამდვილე, ამისათვის ჩვენი დებუტატების ლაპარაკი მას ენაქართლობათ და ზღაპრათ მოეჩვენა. მას ჯერაც ვერ შეუგნია, რომ ხალხის წარმომადგენლების გზით ლაპარაკობდა თვითონ ხალხი. ხალხი თავის დებუტატების პირით დადებდა თავის ჭირ-ვარაზზე, და უმეტესობა ცდილობდა, რომ რევოლიუციონურ სისხლის ღვრას ჩაეველო,

საქმეები უმისოდ მოწყობილიყვენ, მაგრამ ცდა და ნდობა ერთი გზით მიიღოდნ და ისტორიული წუთით თურმე მეორე გზით ომდიოდა.

რუსეთის ცხოვრებაში ორი უმთავრესი კითხვა არსებობს, რომლებსაც, ხალხის გულში დაგუბებული მოთმინება მიაღვა. ესენია პოლიტიკური თავისუფლება და მიწა. უფრო ამ ორი კითხვის გარშემო ტრიალობდა და ტრიალობს ხალხის წარმომადგენლებისა და ბიუროკრატის შორის ომი. პირველს არ შეეძლო არ შეესრულებია მინდობილობა და მედგრათ არ მოეთხოვა პოლიტიკური თავისუფლება და მიწა. მეორე არც ერთ მოთხოვნილებას არ ღებულობდა და სათათბიროს ყოველ ნაბიჯს უარით ისტუმრებდა. ამნაირათ, ხალხის წარმომადგენლების სათათბირომ ბიუროკრატის ვერ გამოსტაცა ხელიდან, ვერც ამნისტია, ვერც მუშებისთვის კანონმდებლობა. ვერც პოლიტიკური თავისუფლებები, ვერც მიწა გლეხებისთვის, ვერც ჯარისკაცებისთვის დროს შემცირება და ვერც სხვა. ძველი რეჟიმი ისევე გასაღკდევდა, ისევე აწყობს პლანებს, ხალხის ტანჯვას და გოდებას ყურს და თვალს არიდებს და საჭიროების დროს თავის დამოუკიდებლობას და თავის ბატონობას იცავს. ეს დღეს ჩვენთვის აშკარაა. აშკარაა, რომ სანამდის „ღვთის წყალობაზე“ „მეფის სურვილზე“ და „ძირითად კანონებზე“ — იქნება რუსეთის მოქალაქის ფფლება დამოკიდებული მას არც პოლიტიკური უფლება ექნება და ვერც მიწის მიიღებს გლეხობა, რადგანაც ძირითადი კანონები შიმშილობას არ უფრახიან. მაგრამ საკუთრებას კი «წმინდათ და ხელშეუხებლათ» აღიარებენ. ამისთვის მეფის და მისი თაყვანისმცემლების გაუმაძღრობამ ყველაფერი ძირითად კანონებში მოაქცია. ყველაფერი შიგ შეიტანა და გამოაცხადა ამაში ნუ შეგვინებებთ და დანარჩენში რაც გინდათ ის ქენითო. ამიტომ ხალხის დებუტატები და მთავრობა სწორედ ამ წერილზე უნდა შეტაკებულიყვენ. პირველად დებუტატებს უნდა დაერღვიათ ძირითადი კანონების რომელიმე მუხლი თუ სურდათ გლეხებისთვის მიწის მოპოვება, თუ ფიქრობდნენ გლეხების ტანჯვიდან დახსნას. პროექტი მზათ ქონდა სათათბიროს, რომლის წინააღმდეგ სამინისტრომ თავის უკუღმართი პროექტი გამოცა. სამინისტროს პროექტის პოსასპობათ საჭირო იყო ხალხისადმი მიმართვა. სათათბირომ ეს მოვალეობა შეასრულა, ხალხს მიმართა და კიდევ მოველინა მას მთავრობის რისხვა, მეფის მანიფესტის ძალით ის დარღვეული იქნა, რომელიც 8 ივლისის გამოაქვეყნეს. მანიფესტი ამბობს: „ხალხისაგან არჩეულებმა კანონმდებლობაში მუშაობის მაგიერათ გადაუხვიეს და მთავრობას კანონების უსრულო-

ბას უჩვენებდნ“ „ამასთანავე მიმართენ ხალხს. აღშფოთებული გლეხობა აშკარა მცარცველობას და სხვისი ქონების მითვისებას შეუდგა, მაგრამ იცოდნენ, რომ ჩვენ არავის არ ვაგაბედვინებთ თვითნებობას და ყოველივე ჩვენი სახელმწიფო ძალით ურჩთ ვიძილებთ და უმორჩილდნ ჩვენს მეფურს ნებას“. არც იქეთ და არც აქეთ, ვთქვათ პირდაპირ, რომ მანიფესტი უფრო იმ ულიტიმბტუმს მოგვავანებს, რომელსაც სახეში აქვს იარაღით ხელში თავის განსხვავებულ უფლების დაცვა. ეს წითელი ზოლივითაა გატარებული სეფე სიტყვებში და სამინისტროს აკტებში. მაგალითად „რუს. ვედომოსტ.“ № 4 სიტყვით, ცარსკოე სელოში დებუტატას ეუბნებიან: „ის რაც მებატონეს ეკუთვნის არის ბატონის საკუთრება და ის რაც გლეხს ეკუთვნის — გლეხისა“. ეს ამბობს იმას, რომ კერძო საკუთრება ისეთ უნდა დარჩეს, როგორც დღეს ჩვენ ვხედავთ. მისი შეცვლა შეუძლებელიაო. ამას ამტკიცებს ძირითადი კანონები, ბევრგვარი მანიფესტები, და სათათბიროს ადრესზე გორემიკინის სამინისტროს მიერ მიცემული პასუხი. ყველა მიწები, არის სახაზინო თუ საუფლისწულო, საკაბინეტო თუ საეკლესიო აგრეთვე ვებერთელა კერძოც, მიჩნეულია ძირითად კანონების ძალით, როგორც კერძო, და მათსადავე ყველა „ხელშეუხებლ-

ბას უჩვენებდნ“ „ამასთანავე მიმართენ ხალხს. აღშფოთებული გლეხობა აშკარა მცარცველობას და სხვისი ქონების მითვისებას შეუდგა, მაგრამ იცოდნენ, რომ ჩვენ არავის არ ვაგაბედვინებთ თვითნებობას და ყოველივე ჩვენი სახელმწიფო ძალით ურჩთ ვიძილებთ და უმორჩილდნ ჩვენს მეფურს ნებას“. არც იქეთ და არც აქეთ, ვთქვათ პირდაპირ, რომ მანიფესტი უფრო იმ ულიტიმბტუმს მოგვავანებს, რომელსაც სახეში აქვს იარაღით ხელში თავის განსხვავებულ უფლების დაცვა. ეს წითელი ზოლივითაა გატარებული სეფე სიტყვებში და სამინისტროს აკტებში. მაგალითად „რუს. ვედომოსტ.“ № 4 სიტყვით, ცარსკოე სელოში დებუტატას ეუბნებიან: „ის რაც მებატონეს ეკუთვნის არის ბატონის საკუთრება და ის რაც გლეხს ეკუთვნის — გლეხისა“. ეს ამბობს იმას, რომ კერძო საკუთრება ისეთ უნდა დარჩეს, როგორც დღეს ჩვენ ვხედავთ. მისი შეცვლა შეუძლებელიაო. ამას ამტკიცებს ძირითადი კანონები, ბევრგვარი მანიფესტები, და სათათბიროს ადრესზე გორემიკინის სამინისტროს მიერ მიცემული პასუხი. ყველა მიწები, არის სახაზინო თუ საუფლისწულო, საკაბინეტო თუ საეკლესიო აგრეთვე ვებერთელა კერძოც, მიჩნეულია ძირითად კანონების ძალით, როგორც კერძო, და მათსადავე ყველა „ხელშეუხებლ-



გუშინდამ, 13 ივლისს არქივრის გორაზე კახაკებს გაუჩხრეკია სამიოდე სახლი; სრულიად უდანაშაულოთ დაუტუსაღებიათ ორი ყმაწვილი, რომლებიც წარადგინეს გაღმა, საპოლიციო ნაწილში.

როგორც ხმები ისმის, ამ მოკლე ხანში თურმე აგზანაძის ქუთაისის საპრობილედან რამდენიმე პოლიტიკურ ტუსაღთ ცივ ქვეყნებში.

როგორც გავიგეთ, ხუთშაბათს 13 ივლისს დილის 9 საათზე, როდესაც საღივთს სახლობა მატარებელი გასცილებია ერთი ვერსის მანძილზე. უკან მიმბულ საზაფხულო ვაგონში მოუკლავთ ვიღაც მოიჯარადრე ურია, რომელიც ქიათურადან მოემგზავრებოდა. ამ მკვლელობის დროს დაჭრილა მგზავრთა შორის ოთხი კაცი, მათ შორის ყველაზე სერიოზულათ კონდუქტორი, რომელიც ურიას წაშველებია. ამ ამბავზე მატარებელი გაუჩხრებიათ, საიდგანაც გადმოშტარან მკვლელები და წასულან ვიწრო ბილიკით მთებში. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ მატარებლის წინა ვაგონში ათამდის კახაკი ყოფილა თაფებით, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავთ.

**ტაშვანსა.**

გაგზავნილთა დაბრუნება. 1905 წლის განმავლობაში სიღნაღის მაზრის ზემო-მაჩხანის სოფლის საზოგადოების განაჩენით გაძევებულ იქმნენ საზოგადოებიდან, როგორც არაკეთილ საიმედო კაცები: ბოსიტაშვილი, ჩუბინიძე, ტოკლიკაშვილი, ლეკიაშვილი და ჯანიაშვილი. ესენი შიდა რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიასში გაიგზავნენ. ეხლა ხსენებულ

სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, დააბრუნეთ გაგზავნილნი უკან, უკვე მოინანიეს დანაშაული.

ქანდაკის როტმისტრის მოკვლა. როგორც განჯიდან გაზ. „შრომას“ ატყობინებენ, 12 ივლისს დილის 9 საათზედ, მოუკლავთ ქანდაკის როტმისტრი რიტჩერი. მკვლელები გაქცეულან.

როგორც გაზ. „შრომა“ გადმოგვცემს, გზათა მინისტრის განკარგულებით, რკინის გზის უფროსებს და მათ შორის ამიერ-კავკასიისასაც მისვლიათ მიწერილობა, რომლის ძალითაც პირველ კლასის სადგურებზე უნდა დაინიშნონ სატელეგრაფო სადგურების უფროსები. ამათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ტელეგრაფის მოქმედებას. ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ ამგვარი უფროსი ოთხი იქნება: ტფილისისა, ბაქოსა, ხაშურსა და ბათუმში.

კავკასის გზაზე სოფელ ვარონოვკაში გლეხებმა რამდენჯერმე მიტინგი გამართეს, მერე წითელის ბაირალებით (ზედ წარწერით: „მიწა და თავისუფლება“) წავიდნენ და მთელს ახლომ ხლო სოფლებში მუშაობა შესწყვიტეს. შემდეგ რკინი გზის სადგურზე მივიდნენ და მუშებს ხელი ააღებინეს სამუშეოზე. პოლიციის იარაღიც-კი ჩამოართვეს. („შ“)

ამას წინეთ ჩვენ ვწერდით, რომ თფილისში პურის მცხოვრებელთა გაფიცვა დაიწყოთქო, — ეხლა, როგორც „სიმართლე“ გადმოქცევს ეს გაფიცვა გათავებულა.

გაზ. „შრომას“ ატყობინებენ კახეთის თავად-აზნაურობის შემდეგ

დადგენილებას: „თელავის მაზრის თავად-აზნაურობამ კერძო კრებაზე მსჯელობა იქონია სააღილ-მამულსაკითხის შესახებ და, მიიღო რა მხედველობაში როგორც თავისი, ისე გლეხ-კაცთა ინტერესები, დაადგინა—ეცნობათ გლეხთ შემდეგი:

1. თავად-აზნაურობა ჰგონობს გლეხთა მიწის საჭიროებას, იმის უსამართლოდ დანაწილების გამო;

2. ისინი ფართოდ მიეგებებიან ყოველ-ნაირ აგრარულ რეფორმას, როგორც იქნება შემუშავებული სახელმწიფო სათათბიროს მიერ;

3. მემამულეთა და გლეხთა აწინდელ დამოკიდებულების დროებით მოწესრიგებისათვის, თავად-აზნაურობა საჭიროდა სცნობს დათმობას; ეს საქმე შემუშავებულ იქნება ერთმანეთის თანხმობით და ნებაყოფლობით;

4. ამ შეთანხმების განსახორციელებლად დაწესდეს ადგილობრივი კომისიები გლეხთა და თავად-აზნაურთა წარმომადგენელთაგან. ყველა ზემოაღნიშნული საშუალება იმედს აძლევს თავად-აზნაურობას, რომ გლეხნი სწორედ დააფასებენ და თანაგრძობით მოეკიდებიან ამ წინადადებებს, რომელიც მიმართულია მხოლოდ კეთილ-მეზობლობის და თანასწორობის დამყარებისათვის თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის“.

**სამაგალითო ნიმუში.**

ჩვენ ხელში ჩავვივარდა ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი. ვინაიდან, ჩემის აზრით, ამ წერილის შინაარსი ყველასათვის საყურადღებო იქნება, საქაროთ ვსთვლი მის

გახეთის ფურცლებზე აღნიშვნას. აი წერილი რა სწერია: „ბატონო უეზდის ნაჩაღნაკ... [გვამწიფოთ...]. გაჩნდენ მქადაგებულნი—და [ხედავს] ბენ გლეხობას პურის მოსავალი არ მისცენ მებატონეებს და მიწის მებატონეებს; გვიშველეთ ღვთის გულსათვის, ქენით განკარგულება, ეგებ კახაკები მოგვაშველონ, თორებ სალდათებს არც შეეპუებიან და ვერც არას გახდებიან. ეს გაქცეულები ვინც იყვენ და ან ვინც დარჩენ აქ ყველანი დარბიან სოფლებში, აქეთ კანტორები გაღებული, სადაც ღამ-ღამე მიყავთ გლეხები და აქ არიგებენ. ამისთანა კანტორები არის: პერვერსაში, შუქრუთში, წირქვალში, არგვეთში ი.—სას და ორლულში ყ. მ—სას \*). ჩვენ ვერ გიცხადებთ ჩვენ ვინაობას, მაგრამ ბევრი გახლავთ ამის მთხოველი სოფელ ქალასა, სავანესა, არგვეთის, ზოდის და საჩხერის მცხოვრებნი. თუ ამაზედ არ ინებებთ განკარგულებას, მაშინ ნამესტნიკს მოვახსენებთ და ნუ მიგვალწვივინებთ იმ დრომდე 1906 წ. 14 ივნისი“. წერილი დაწერილია ცუდი „პოჩერკით“, არსად არავითარი ნიშანი არ არის დასმული. მიუხედავად ამისა, როგორც წერილის შინაარსიდან სჩანს, ავტორი არც ისე უფიცი უნდა იყოს, როგორც მაზრის უფროსს აცნობს თავს... აი, ჩვენი ზოგიერთი ბოზოლათა დამახასიათებელი ნიმუში მე-XX-ე საუკუნეში!... ქვეყანა თვითმპყრობელობის კლანჭებში მწარეთ გმინავს, სოფლები და ქალაქები ცეცხლსა და მახვილს მისცეს, არ დაზოგეს არც

\* სხვა და სხვა მიზეზებისა გამო გვარებს სრულათ ვერ ვაცხადებთ.

ლობა“ და „წინდა“, მისი საზღვრების გაწვევ-გამოწვევა, მოშლა შეუძლებელია. თვითონ ხელმწიფის ქონების დასაცავათ შეიხზეს მე 17-ე სტატია ძირითად კანონებისა, რომელიც ამბობს: „ხელმწიფე იმპერატორი თვითონ საზღვრავს თავის უფლებებს შესახებ იმ ქონებების სივრცე და თვისების, რომლებიც მას ეკუთვნის, როგორცაა, მაგალითად, საუფლისწულო და საკაბინეტო მიწები“. „თვითონ საზღვრავს“ ძალიან ბევრს ამბობს პირადი ინტერესების დასაცავათ, ამას ხელს უწყობენ სხვა კანონებიც, რომლებიც დაცულია მიწა, ისე როგორც კერძო საკუთრება. ამნაირივე მოხსენება წარუდგინა, გორემიკინის სამინისტროს, ჩვენმა დამავალიანებელმა მენდელსონმა. იგივე მუქარით მოითხოვა ვილგელმ მეორემ: „კერძო საკუთრება ისე, როგორც არსებობს დღეს რუსეთში უნდა დარჩეს შეუცვლელათ, თვარა რუსის ქალაქების ქაჰანება გერმანიის ბირჟაზე მოისპობაო“.

როგორც ხედავთ, გარედან შამოსული გავლენაც კი ხელს უწყობს იმას, რომ მიწების საქმე თავგამოდებით დააცონ და მშიერ გლეხობას არაფერი არ მოუჭრან. ასეთ ნაირად შამოაკავა ბურჟუაზიამ ყოველ ქვეყანაში კერძო საკუთრება, ყოველგან იძახის ის „კერძო საკუთრება წმინდა“. ამიტომაც, ცხადია, რომ

სათათბირო და მასთანავე რუსეთის ხალხი დიდ წინააღმდეგობას უნდა შეხვედროდა გაბატონებულ კლასებისაგან, რომლებსაც ხელში აქვთ ჩაყრილი მთელი რუსეთის ბუნებრივი და ხელოვნური სიმდიდრე. მათზე ვერ იმოქმედა ჯერ ვერც იანვარმა და ივნისმა, ვერც ნოემბერმა და დეკემბერმა. მათზე ვერ იმოქმედა. სათათბიროს წევრების პირით ჩვენი ცხოვრების ნამდვილი სურათის ხატვამ. ლომობიერება ვერ გამოიწვია, და დათმობის ნაცვლად ხალხის წინააღმდეგ სამართ ემზადებოდნენ და ემზადებიან. მაგალითად, 20 ივნისს „მთავრობის უწყებებში“ დაბეჭდილი სამინისტროს მიერ შედგენილი კანონპროექტი მიწების საკითხის შესახებ, რომელიც აბნელებს სათათბიროს კანონპროექტს მიწების შესახებ და თანაც ჩირქს ცხებს სათათბიროს, ვითომც ამის თანხმობით იყოს შედგენილი სამინისტროს კანონპროექტი, ეს ორკოფული და შეუჯნებელ ხალხის სპეკულიატორი კანონპროექტი ეჭვს და განხეთქილებას დაბადებდა ხალხში: ნუ თუ სათათბირო სამინისტროს შეუერთდა ისეთ პროექტებში, რომელიც გლეხებს ნადებებს და წვრილ საკუთრებებს ართმევს სამიწო ფონდისთვის. სამინისტროს ამგვარ პროვაცაციის გასაქარწყლებლათ საჭირო იყო სათათბიროს აზრის გამოქვეყნება. მან მოწოდებით მიმართა ხალხს 7 ივლისს,

სადაც ამბობდა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით მთავრობას უფლება არ აქვს სათათბიროს ნება დაურთველათ დააკანონოს, რომელიმე პროექტი, ამიტომ ნუ ენდობით მათ ყალბ პროექტს მიწების კითხვის გადასაჭრელად შეთხზულსო. თანაც ატარებენ პრინციპს რომელიც გამოიხატება სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო საეკლესიო და კერძო მიწების სავალდებულო ჩამორთმევაში. ამ მოწოდებამ სასტიკი ბრძოლა გამოიწვია მთავრობასა და სათათბიროს შორის. ეს შეიქნა ოთხკუთხედ ქვათ სათათბიროს საქმეში. აქ სავსებით გამოჩნდა მთავრობის გეგმა.

„ინგლისის უმაღლესი ეკლესია უფრო ადვილათ მოგიტევეს 39-დან, 38 სჯულის მუხლის წინააღმდეგ შეტაკებას, მაგრამ არაფრის გულისთვის არ მოგიტევეს თავის შემასავლის ერთ მეოცდაცხრამეტე ნაწილზედაც კი ხელის დადებასო“ ამბობს მარქსი. დიახაც ვერ აიტანა რუსეთის კამარილიამ და მისი მოტფილვე კლასმა მიწების ჩამორთმევა და მეფის მანიფესტით უარყო ხალხის საჭიროება, მოთხოვნილებები, ამისთვის სათათბიროც დაითხოვა. და რამდენიმე ყალბ დაპირებების გარდა, ცდილობს ერთი ხალხის ნაწილი მეორეზე აამხედროს და გამოიწვიოს ერთმანეთის ჟღერა ხოცვა. ის პატეტურათ ამბობს: „რუსეთის ჭეშმარიტნი შვილნი თქ-

ვენი მეფე მოგიწოდებთ თქვენ ისე როგორც თავის შვილებს რათა შეერთდეთ მასთან ჩვენი წმინდა სამშობლოს განახლებისთვის“. განა ხალხი განახლებას არ მოითხოვს?! განა ის განახლებისთვის არ იბრძვის?! მარა მანიფესტი კითხვას ბანზე აგდებს, ზოგიერთებს თავს უქნევს და ზოგიერთების წინააღმდეგ საბრძოლველათ იწვევს.

ამისთვის თქვა ტრეპოვმა: „ან კადეტების სამინისტრო და ან ძლიერი ძალა რევოლიუციის ჩასაქრობათ“. ეს უკანასკნელი გზა აირჩიეს და ენახათ, თუ ასე ადვილათ ჩააქრობენ ხალხის საჭიროებას და რევოლიუციონურ მიმდინარეობას!

პოლიტიკური სფერა შეირყა, ინტერესთა შორის წინააღმდეგობა უფრო მკაფიოთ წარმოადგა ჩვენ თვალწინ, პროლეტარიატი და გლეხობა ბრძოლაში გამოიწვეულია, მთელ ქვეყანას თვალი და ყური ახლა აქეთვე აქვს მიპყრობილი. დადგა ისტორიულათ დიდი დრო, მარა არავინ იცის ჯერ, დღეს თუ ხვალ დაიქვეყნებს პროლეტარიატი და გლეხობა თავის მტრების წინააღმდეგ. ულტიმატუმი პროლეტარიატმა და გლეხობამ უკვე მიიღო, პასუხის გაცემა მათზე კიდია. მათ სალიდარულ გამოსვლას შეუძლია დაფხრიწოს ავსულთა თავ შესაფარი. მათ შეუძლიათ სისხლით დაიხსნან ქვეყანა ტყვიულებისგან, შიმშილისგან, კრიზისებისგან და ანარხიისგან.

დიდი, არც პატარა, არც ქალი არც კაცი — ყველას გაათრებულ ნადირით ეპყრობიან, გამოსულან ამ დროს ქვეყნისა და მოძმის გამყიდველი იუდეები და კაზაკებს თხოულობენ გლეხების უკანასკნელი სიცოცხლის გასამწარებლათ...

დევ, ჩხაპონ ხალხის მტრებმა მთავრობისადმი საზიზღარი დანახები; დევ, გაეგონ ფეხ-ქვეშ მთავრობის ბაში-ბუზუკებს, მხოლოდ ახლოვდეთ, რომ ხალხს მათი მოქმედება დაფარული არ დაურჩება. იცოდენ ამ იუდეებმა, რომ ხალხის რისხვა მათ არ ასცდებათ; მათ საზიზღარ მოქმედებას შესაფერ მსჯავრს დასაღებს გამარჯვებული გლეხობა...

### რუსეთი

როგორც ვახეთები გადმოგვცემენ, უკვე დაწყებული სევასტოპოლის მატროსების საქმის გარჩევა. მატროსები პასუხის გებაში არიან მიცემულნი 1905 წელს ნოემბერში აჯანყების მოხდენისათვის. პასუხის გებაში სულ 91 მატროსი ყოფილა მიცემული. 4 ივლისს სამხედრო-საზღვაო სასამართლო უკვე შედგომილა საქმის გარჩევის. ბრალდებულთა საქმის დასაცველათ რუსეთის გამოჩენილი ვეჭილები იქვე მოწვეულნი. მუშებმა მატროსებისადმი თანაგრძობის გამოსაცხადებლათ მთელ ქალაქში ვაფიცვა გამოაცხადეს; მუშებს მხარი დაუჭირეს ნოქრებმა — ქალაქში ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. როდესაც მატროსები სასამართლოს დარბაზში მიიყვანეს დიდმა უმრავლესობამ (82) უარი განაცხადა საქმის გარჩევის დროს დასწრებაზე. სასამართლოს დარბაზში მხოლოდ 9 მატროსი დაარჩა... ამის გამო ვეჭილებსაც უარი განუცხადებიათ საქმის დაცვაზე — ბრალდებულთა დაუსწრებლათ... ამ დღეს პოლკ. დუმბაძისათვის ვილაცხებს ყუმბარა უსვრიათ, მაგრამ დუმბაძე შემთხვევით გადაარჩენილა. მთელ ქალაქში გაძლიერებულია პატრულები.

რუსეთის მთავრობას 200 პოლიციის აგენტი გაუგზავნია საზღვარ გარეთ — სხვა და სხვა განზრახვით. რამოდენიმე მათგანი თურმე ვიტე დურნოვს ახლავრან თან.

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს გუბერნატორებისთვის დაუგზავნია ცირკულიარები, რომელშიდაც საგუბერნიო ადმინისტრაციას აფრთხილებს „ოტპუსკების“ აღებაზე თავი შეიკავოს. ეს ცირკულიარი იმის შედეგი ყოფილა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი თხოვნები შესულა გუბერნატორებისა და ვიცე გუბერნატორებისაგან დროებით სამსახურიდან განთავისუფლებაზე.

ამას წინათ, როგორც „თანამედროვე ცხოვრება“ გადმოგვცემს, გენერალ მინთან სემენოვის პოლკის დაბალი ხარისხის ჯარის-კაცი შესულა და განუცხადებია, რომ აღნიშნული პოლკის ჯარის-კაცების ჯგუფს გადაუწყვეტია „განბანონ თავიანთი ხმები გენერალ მინის სისხლში“

იმ გაცვეთილისთვის, რომელიც მათ გენერლის წინამძღოლობით მოსკოვის აჯანყების დროს მიუღიათ. გენერალი მინი დროებით სადღაც გადახვეწილა.

მოსკოვის გარნიზონის კაზაკებს ამას წინეთ კრება ქონიათ, დეპუტატ სედელნიკოვის პოლიციელებისაგან შეურაცყოფის გამო. კრებას რეზოლიუცია შეუშუშავებია და სახელმწიფო სათათბიროში გაუგზავნია. რეზოლიუცია ამბობს: „მეცური თვითნებობა, საზიზღარი, აშკარა ფეხ-ქვეშ გათელვა ადამიანის პიროვნებისა, — აი ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ. დეპუტატ სედელნიკოვის მოქმედებით შეურაცყოფა — ეს მთელი კაზაკთა წოდების შეურაცყოფაა. ჩვენ პროტესტს მისთვის კი არ ვაცხადებთ, რომ სედელნიკოვი გალახეს, არამედ მიტომ, რომ პოლიციელთა თვითნებობიდან ხალხის წარმომადგენელნიც არ არიან დასტრახულნი. ვუჭერთ რა მხარს სათათბიროს მის გაბედულ მოქმედებაში, რომელიც მიმართული იქნება ხალხის საჭირო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, და ვუერთდებით რა მთელი რუსეთის მუშების გადაწყვეტილებებს სათათბიროს პოლიტიკის შესახებ, ჩვენ მოვითხოვთ სათათბიროსაგან დაუყოვნებლივ პასუხის გებაში მიცემულ იქნან დამნაშავენი სედელნიკოვის შეურაცყოფისა, და გადაეცეს უკანასკნელს კაზაკებისაგან, რომლებიც მოსკოვში არიან, ჩვენი მხურვალე სალამი და გულითადი თანაგრძობა.“ (პუტ)

### წერილი რედაქციის მიმართ

„შიკრიკის“ მე-5 №-ში მოთავსებული იყო „წერილი რედაქციის მიმართ“ ჩემს წინააღმდეგ პეპილოსი; ვინაიდან პეპილოს მიერ ბრალდებებს ჩემს წინააღმდეგ უსაფუძლოდ ვსცნობ, წინადადება ვაძლევ პეპილოს გამომყვეს სამედიატორო სამართალში და დამიმტკიცოს მის მიერ წამოყენებული ბრალდებების საფუძვლიანობა. მოსამართლეებთან ჩემის მხრივ ვასახელებ ამხ. ილია ბახტაძეს და დიმიტრი ჩარქეკოს. ველი ვახეთის საშვალებით პასუხს.

იუზა ზარდალიშვილი.

### დებულები.

(პეტერბურგის დეპუტატთა სააგენტოსაგან) 13-14 ივლისი.

**პეტერბურგია.** მენახშირეთა ვაფიცვამ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა გემების პატრონები. ზარალი საგრძნობელია და მეპატრონენი თანახმა არიან დააკმაყოფილონ მომუშავეთა მოთხოვნილებანი.

**კრანშტადტია.** სალამოს ნავსადგურის მუშებმა გამართეს დიდებული დემონსტრაცია, დაქრილია ქვით თავში ჟანდარმის როტმისტრი რაკიკი პოლიციამ მანიფესტანტები გაფანტა.

**თფაღისა.** ერევნიდან იტყობინებიან: ქალაქში სიმშვიდეა, წესიერება აღდგენილია.

**შუშა.** დეპუტატთა იტყობინებიან, რომ თათრებმა დაკლეს ერთი სომეხი გოლოშაპოვის სახლის მახლობლად, როდესაც მოვიდა პოლიცია თათრებმა ასტეხეს სროლა; ზოგი, ტყვია გენ. გუბერნ. გოლოშაპოვის სახლსაც

მოხვდა, პოლიციამ უკან დაიხია გენერალ გუბერნატორის ბრძანებით; არტილერიამ ასტეხა სროლა. მოკლულია ორი სალდათი.

**ადოკა.** მაზრაში გახშირდა არეულობები; გლეხებმა აიკლეს და გადასწვეს მარღვეის, შჩერბაკოვის, ჩერნოვის და პოლგოვების მამულეები. ბოქაულმა, დარაჯების შემწეობით, დაიჭირა 6 კაცი.

**საბატოვია.** ღამით ქალაქში დაიწვა რამოდენიმე სახლი. სადგურ „კურდიუმზე“ გადაიწვა მემამულე შმიდტის ფუძე. ატკარსკის მაზრაში დაიწვა მთელი სოფელი ატკარსკი.

**თეკვანია.** (რეიტერის სააგენტო). ხალხი აღელვებულია და თხოულობს დიდი ვეზირის გადაყენებას.

**ბერდია.** ბევრი აქაური ვახეთები ქვეით იხსენიებს სტოლიპინის ეხლანდელ ტაქტიკას, ვითომც მისი თავდაჭერილობა ცირკულიარში დამშვიდებით მოქმედებდეს ხალხზე.

**პეტერბურგია.** გუბერნატორმა მიმართა ხალხს მოწოდებით, დამშვიდდენ და მოიქცენ ისე როგორც ეკუთვნის სამშობლოს ერთგულ შვილებს; მთავრობამ შესაძლოდ დაინახა უსაქმოდ დარჩენილ მუშების რკინის გზით უფასოდ გადაყვანა, მაგრამ სპეციალურათ ამ მიზანსათვის შემოღებულ უნდა იქნეს მეოთხე კლასის ვაგონი. ხმები იმის შესახებ, ვითომც სახალხო განათლების მინისტრს აეკრძალოს ქალთაგან თხოვნების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა, სიმართლეს მოკლებულია.

**ზღაგვია.** ღამით განიზრახეს, გენერალ-გუბერნატორის, კვიტინციის მოკვლა.

**საბატოვია.** გუბერნიის მმართველმა აკრძალა ყოველივე კრებები და მიტინგები.

**კაშინია.** გუბერნატორმა ოფიციალურათ გამოაცხადა მთელ გუბერნიამი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა; წინადადება მისცა მის ქვეშევრდომ ორგანოთ და მოხელეთ, ენერგიულად მოიქცენ, რომ დაანახონ ხალხს მთავრობის ძალა. ყოველარე არეულობები და უწყისობა სასტიკი ზომებით უნდა იქნეს მოსპობილი.

**პეტერბურგია.** ვახ. „სტრანაში“ მოთავსებული ცნობა დეპუტატების დატყვევების შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

**ბესტ-ლატოვსკია.** მოიყვანეს ციხეში საერობო მმართველის მიერ დატყვევებული გროდნოს გუბერნიის სათათბიროს ყოფილი წევრი კონდრაშუკი.

**პეტერბურგია.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა: მიეცეს ბელოოზერსკის და კირილოვის მაზრების (ნოვგოროდის გუბერნია) გლეხებს 33000 მანეთი იმ ზარალის აღსადგენათ, რომელიც მათ მოუვიდათ მარიინსკი სისტემის წყლის არხის „შლიუზების“ გადაკეთებით.

**ჩატა.** ვერხნეუდიაში მავნე მიმართულების გამო შაჩერეს ვახ. „ბოიკალსკია ვონია.“

**კვატკანისლაგია** აღექსანდროვიდან მოსულ ყაზახების საშუალებით სოფელ ჟერებენში აგრარული

მღელვარება ჩაატრეს. მოთავეები დაატყვევეს.

### გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით

სოცნაცა. პეტერბურგის 10 კაცი; იზოვეს გექტოგრაფიული ხელით საბეჭდური და აუარებელი პროკლამაციები.

**აუზოვკა.** შჩერბინის მალაროვში გაიფიცენ 200 მკირე წლოვანი მუშები. მოითხოვეს სამუშაო ქირაზე 20% მომატება. ადმინისტრაცია თანახმაა მხოლოდ 10% მიუმატოს გაიფიცულები განაგრძობენ ვაფიცვას.

**კაზანი.** რადგან იმ სტამბის გამგე, სადაც პროგრესული ვახეთები იბეჭდება ვახეთის გამოსვლამდის უგზავნის ხოლმე გუბერნატორს ანაბეჭდებს (ОТРИСКИ). წასაკითხავათ; სამი პროგრესული ვახეთის რედაქტორები შეთანხმდნენ და დასდევს პირობა: არ დაემორჩილონ წინასწარ ცენზორს; ამასთანავე მოსთხოვონ სტამბის პატრონს არ დაანებონ ვახეთის №-2 არავის მანამდე, სანამ ვახეთი გამოვიდოდეს.

**კაშინია.** ხმები იმის შესახებ, რომ პეტერბურგის კომიტეტი დაიჭირესო, სიმართლეს მოკლებულია. ვახეთ „რჩ“ — ის ცნობებით გუბერნატორის კანცელარიის გამგე. ნამდვილ რუსთა კავშირის წევრია. ადგილობრივი ადმინისტრაციის სხვა და სხვა ნაწილების უფროსები საზოგადოათ უარს ყოფენ რომელიმე პარტიის ხელმძღვანელობაზე.

**კვატკანისლაგია.** მანიფესტს, სათათბიროს დათხოვნის შესახებ, ხალხი აულელვებლად მიეგება. უკიდურეს პარტიებმა ხალხისადმი მოწოდება გამოსცეს, რომელთაც მოუწოდებენ არეულობას ერიდოთ.

**სეკასტოპოლი.** ფლოტში აჯანყების საქმის თაობაზე მოწვეების შეკითხვა დასრულდა; დღევანდელს ხდომია დასამტკიცებელ საბუთების გარჩევის მოანდომეს. ამ საბუთებში პირველი ადგილი შმიდტის წერილებს და მისდამი ხელმწიფესთან გაგზავნილ დეპეშას უჭირავს.

**საზრანია.** ცეცხლისაგან ზარალი. საერთოთ ათი მილიონია. დამზღვევ საზოგადოებებმა იზარალეს 100000 მენეთამდე

**სეკასტოპოლი.** აგრარული არეულობების გამო თათრის მემამულენი ოსმალეთიდგან იწერენ მუშებს; ნემცები კი ამუშავენ იხვე თათრებს, მომატებულ ფასებში.

**მოსკოვია.** შეაჩერეს ვახეთი „ნა-როდნოე დელო“. უკიდურეს პარტიების მოლაპარაკება დამთავრდა. პარტიები იმ აზრისაა, რომ ამ ხანათ უხერხულია საყოველთაო ვაფიცვა.

განაგრძობენ ყველა საექვო პირთა დატუსაღებას. გუბერნატორებს ვაუგზავნეს ცნობა, რომ დაბრუნებულ დეპუტატებს არ მისცენ ნება მიტინგების და კრებების გამართვისა.

**გარშაგა.** ქუჩაზე უცნობმა ხანჯლით მოჰკლა, საგუბერნიო ჟანდარმერიის უფროსის თანამემწე, პოლიპოკოენიკი სალამატოვი.

**ბელგრადია.** დღეს 12 საათზე და 30 წუთზე მიწა იძრა ზარალი ძლიერ ცოტაა.

**ზღაგვია.** ვაფიცენ მეგობრები. მოთხოვნილებანი ეკონომიურია.

**მოსკოვია.** ქალაქში მონინდომეს დაბეჭდილი ვიბორგმი სათათბიროს მიერ გამოცემული ხალხისადმი მიმართვის ქუჩებში ვაკვრა; დაიჭირეს რამოდენიმე კაცი რომლებიც ქალაქში ამ განცხადებას აკრავდა.

რედაქტორ-გამომცემელი  
ა. ზ. რუსაძე.